აღმოვფხვრათ პრაქტიკა, რომელიც ზიანს აყენებს ქალებსა და გოგონებს და ძირს უთხრის თანასწორობას

ის არის საგანი, რომლითაც შეიძლება ივაჭრო.

ის არის საგანი, რომლის მიმართაც შეიძლება ლტოლვა გაგიჩნდეს.

ის არის ტვირთი, რომელიც შეგიძლია თავიდან მოიშორო.

ის არის უფასო მუშახელი.

ის არის გოგონა.

ეს სავალალო რეალობაა:

მისი სხეული, ცხოვრება და მომავალი მას არ ეკუთვნის.

ამ რეალობის შეცვლა შესაძლებელია.

საზიანო

პრაქტიკის მაგალითები

ყოველდღიურად, ასობით ათასი გოგონა მთელ მსოფლიოში ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი ხდება, მათივე ოჯახების, მეგობრებისა და საზოგადოების თანხმობით. ამგვარი პრაქტიკა ფართო საზოგადოებაზე ჰპოვებს ასახვას, ასაზრდოვებს გენდერულ სტერეოტიპებსა და უთანასწორობას.

მსგავსი საზიანო პრაქტიკის მაგალითები მრავლად მოიპოვება; მიუხედავად იმისა, რომ სამი მათგანი საყოველთაოდ არის მიჩნეული ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად, ისინი მაინც განაგრძობენ არსებობას; ესენია: ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ბავშვთა/ადრეული ქორწინება და ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭება.

ეს პრაქტიკა არც მხოლოდ ერთეულ ქვეყნასა და არც მხოლოდ ერთეულ კულტურაშია დამკვიდრებული. მათ შორის განსხვავება მათი აღსრულების სპეციფიკას უკავშირდება - გოგონას სასქესო ორგანოს დასახიჩრება შესაძლებელია ჩვილობის ასაკში ან მოზარდობის ასაკში ჩაუტარდეს, იგი შეიძლება დააქორწინონ გაუპატიურებისგან მისი დაცვის, ან მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, იგი შეიძლება დაბადებამდე მოკლან ან დაბადების შემდეგ უგულებელყოფის მსხვერპლი გახდეს. თუმცა ამ პრაქტიკას ერთი საფუძველი აქვს და იგი სათავეს გენდერული უთანასწორობიდან და ქალის სექსუალობისა და რეპროდუქციის გაკონტროლების სურვილიდან იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პრაქტიკა გამანადგურებელ ზიანს აყენებს ცალკეულ ქალსა თუ გოგონას, ის ზიანი, რომელიც მთელ კაცობრიობასა და მომავალ თაობებს ადგება, კიდევ უფრო მეტად გამანადგურებელია. რადგან, რამდენადაც კნინდება ქალთა და გოგონათა ჯანმრთელობა, განათლება და ადამიანური პოტენციალი, იმდენადვე კნინდება კაცობრიობა.

მაგრამ ჩვენ შეგვწევს ძალა დავუპირისპირდეთ იმ ფაქტორებს, რომლებიც ამ ზიანის შენარჩუნებას ემსახურება და შეგვწევს ძალა შევქმნათ მსოფლიო, სადაც ნებისმიერი ქალი და გოგონა თავად და დამოუკიდებლად შეძლებს საკუთარი მომავლის შექმნას.

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება

მოკვეთა დასახიჩრება ნაკერები

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება გულისხმობს ქალის გარეთა სასქესო ორგანოების ნაწილობრივ ან სრულ მოკვეთას, ან ქალის სასქესო ორგანოების სხვაგვარ დაზიანებას, არასამედიცინო მიზნით.

აღნიშნული პრაქტიკა მსოფლიოს ყველა რეგიონშია დამკვიდრებული და ამ პრაქტიკის მსხვერპლთა რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით 200 მილიონ ქალსა და გოგონას შეადგენს, დღეის მდგომარეობით.

აღნიშნული პრაქტიკა არღვევს ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლებას, სხეულის სიმრთელის შენარჩუნების უფლებას, დისკრიმინაციისგან და სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის უფლებას. მას შეუძლია ქალის ან გოგონას სიცოცხლეც კი შეიწიროს.

მიუხედავად ამისა, ამ საზიანო პრაქტიკის შენარჩუნებას ხელს უწყობს რიგი ცრურწმენები იმის შესახებ, რომ იგი აუმჯობესებს ქალის ნაყოფიერებას, ახანგრძლივებს მამაკაცის სექსუალურ სიამოვნებას, თრგუნავს ქალის სექსუალობას, აკმაყოფილებს რიგ რელიგიურ მოთხოვნებს ან მისაღებია საზოგადოებისთვის. იგი პირობითად ემსახურება გოგონას სიწმინდის, პატივისა და პატიოსნების დაცვას, ქორწინებისთვის მის სასურველ პარტნიორად ქცევის მიზნით.

ბავშვთა ქორწინება

ძალადატანება გაცვლა გაყიდვა

ადრეულ ასაკში ქორწინება, გოგონასთვის, ხშირ შემთხვევაში, განათლების მიღების შესაძლებლობის დაკარგვას უკავშირდება. იწყება ზრუნვა ბავშვის გაჩენაზე. ადრეულ ასაკში მაღალია ორსულობით გამოწვეული სიკვდილის რისკი და ისინი მეტად დაუცველი არიან ოჯახური ძალადობის მიმართ. მათთვის მომავლის კარები ერთბაშად იხურება.

ბავშვთა ქორწინება თითქმის საყოველთაოდ არის აკრძალული, თუმცა ყოველდღიურად ბავშვთა ქორწინების დაახლოებით 33 000 შემთხვევა ფიქსირდება, და ეს ხდება ყოველდღე, მთელ მსოფლიოში.

დღევანდელ მსოფლიოში დაახლოებით 650 მილიონი გოგონა და ქალი ადრეულ ასაკშია დაქორწინებული.

მშობლები გოგონების ადრეულ ასაკში დაქორწინებას ამართლებენ მომავალში მათ ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე ზრუნვით, ან საკუთარ ქალიშვილებს უბრალოდ საქონლად მიიჩნევენ, რომლის ქორწინებითაც ცდილობენ ოჯახის ვალების დაფარვასა ან დავების მოგვარებას. ზოგი მშობელი მიიჩნევს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება დაიცავს მათ ქალიშვილებს სექსუალური ძალადობისაგან, და მათი ქალიშვილის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას მის ქმარსა და ქმრის ოჯახს აკისრებენ. თითქმის არასდროს განიხილება რისკი, რომ სწორედ მათი ქალიშვილის ქმარი შეიძლება იყოს მოძალადე. ოჯახები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ბავშვთა ქორწინებას კრიზისისა და იძულებით გადაადგილების დროს.

ამ ტრადიციას საფუძვლად, ჩვეულებრივ, უდევს სურვილი გოგონამ ქალწულობა შეინარჩუნოს ქორწინებამდე, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი სხეული აღიქმება ქმრის საკუთრებად.

ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭება

არასასურველი უგულებელყოფილი მოკვეთილი

როდესაც ვაჟებს გოგონებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს საზოგადოება, ძლიერდება ვაჟის გაჩენაზე ზეწოლა. შესაძლოა წყვილებმა ბევრ საშუალებას მიმართონ, რათა თავიდან აიცილონ მდედრობითი სქესის შვილის გაჩენა (გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა), ან შესაძლოა მათ შეგნებულად უარი თქვან გოგონას ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვაზე და მთელი ყურადღება ვაჟზე ზრუნვაზე გადაიტანონ (პოსტნატალური სქესის შერჩევა).

ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭება ახალი მოვლენა არ არის, თუმცა, მცირერიცხოვანი ოჯახების ტენდენცია ახალი მოვლენაა. დღეს ქალთა უმეტესობას სამი ან ნაკლები შვილი ჰყავს; შვილების მცირე რაოდენობა ნიშნავს ვაჟის გაჩენის შესაძლებლობის შემცირებას. ორი გოგონას მშობლების დაახლოებით მეოთხედმა შეიძლება მიმართოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას, მესამე გოგონას დაბადების თავიდან ასარიდებლად.

ამჟამად დადგენილია, რომ ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების შედეგად გაუჩინარებული ქალების რაოდენობა 140 მილიონს აღემატება.

აღნიშნულმა პრაქტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ორსული ქალების იძულება მიმართონ აბორტს, იმ ქალების მიტოვება ან გარიყვა, რომლებიც გოგონებს შობენ; და გოგონების არასათანადო კვება, არასათანადო განათლება და გოგონების იმუნიზაციაზე უარის თქმა.

ზოგიერთ ქვეყანაში, ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების შედეგად თავს იჩენს სქესთა შორის დარღვეული თანაფარდობა, რაც თავის მხრივ იწვევს პარტნიორის გარეშე დარჩენილი მამაკაცების რაოდენობის ზრდასა და ხელს უწყობს გენდერული ნიშნით ძალადობის ზრდას.

მეტი ძალისხმევა

საერთაშორისო საზოგადოება განუხრელად თანხმდება იმაზე, რომ დაუშვებელია ამ საზიანო პრაქტიკებთან შეგუება. ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა და იქმნება საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც მოუწოდებს მთავრობებს, საზოგადოებებს და ინდივიდუალურ პირებს აღკვეთონ მსგავსი პრაქტიკები.

ტალღა გორდება და უფრო და უფრო მეტი ადამიანი იღებს ინფორმაციას ამ პრაქტიკებით გამოწვეული ზიანის შესახებ. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკა, გაორმაგდა იმ გოგონებისა და ქალთა წილი, რომელთაც სურთ ამ პრაქტიკის შეჩერება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიღებული მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ როდესაც გოგონები სარგებლობენ უფლებით მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება ქორწინებასთან დაკავშირებით, ისინი მოგვიანებით ქორწინდებიან. ადამიანის უფლებებთან, გოგონების უფლებებით აღჭურვასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული გზავნილები ემსახურება მშობლების დარწმუნებას იმაში, რომ გოგონებმა სწავლა უნდა განაგრძონ.

მაგრამ ამ მიმართულებით არსებული მიღწევები საკმარისი არ არის. მსოფლიოში მოსახლეობის რიცხვის ზრდის გამო, რეალურად იზრდება მსგავსი პრაქტიკით დაზარალებულ გოგონათა რიცხვიც. და ამ საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის ყველაზე ეფექტური საშუალებების გამოყენება - გოგონების ღირებულების ამაღლება და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა - სულ უფრო და უფრო რთულდება.

გასავლელი გზა

არსებობს კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა გატარებაც შეუძლიათ ქვეყნებსა და საზოგადოებებს საზიანო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს კანონების მიღება, რომლებიც საზიანო პრაქტიკას კრძალავს, თუმცა, ამგვარი კანონების მიღება გრძელი გზის მხოლოდ დასაწყისია.

ამ მიმართულებით ძალისხმევაში ამგვარი პრაქტიკით დაზარალებული საზოგადოებების ჩართვა დაგვეხმარება აღვკვეთოთ მისი ფარულად გავრცელება. საჭიროა შემუშავდეს ეროვნული სამოქმედო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით ძალისხმევაში საზოგადოების, ადგილობრივი და რელიგიური ლიდერების, მომსახურების მიმწოდებელთა ჩართვას და ფართო მხარდაჭერის მოპოვებას.

ასევე საჭიროა გარკვეული ძალისხმევა საზოგადოებებში დამკვიდრებული მანკიერი აზროვნების სტილის შესაცვლელად. პროგრამები, რომლებიც სოციალური ნორმების შეცვლას ემსახურება, საკმაოდ ეფექტურია საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს პროგრამები არ მხოლოდ ამგვარი პრაქტიკის აღმოფხვრაზე უნდა იყოს ორიენტირებული, არამედ უფრო ფართო სპექტრის საკითხებზე, როგორიცაა ქალებისა და გოგოების დაქვემდებარებული მდგომარეობა, მათი უფლებების დაცვა, მათი სტატუსის ამაღლება და შესაძლებლობებზე წვდომის უზრუნველყოფა.

ამ მიმართულებით ძალისხმევაში მთავრობებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა: ქვეყნებს შეუძლიათ იზრუნონ ეროვნულ დონეზე არსებულ ქალთა ინსტიტუტების გაძლიერებაზე, დანერგონ მმართველობის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა ქალთა სამინისტროები და გენდერულ საკითხთა საკოორდინაციო ცენტრები, და იმუშაონ დისკრიმინაციული კანონმდებლობის გადასინჯვის მიმართულებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა ინსტიტუტებს საკუთარი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ამ მიმართულებით გაღებულ ძალისხმევაში.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ეს ყველაფერი თავისთავად არ მოგვარდება. ჩვენ უნდა გავაორმაგოთ ძალისხმევა, გავზარდოთ ამ მიმართულებით გახორციელებული ინვესტიციები და უფრო სერიოზულად მოვეკიდოთ საკუთარ ვალდებულებებს. და ჩვენ არ უნდა შეეწყვიტოთ ბრძოლა ვიდრე არ დავრწმუნდებით, რომ ყველა გოგონასა და ქალის უფლებები, არჩევანი და სხეული მათივე საკუთრებას წარმოადგენს.

COVID-19-ის პანდემიის შედეგად გაზრდილი რისკები

მსოფლიო მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ 2020 წლის ანგარიშზე მუშაობის პროცესი COVID-19-ის პანდემიის საწყის ეტაპს დაემთხვა

ანგარიშის გამოქვეყნების ეტაპზე, ჩვენ ხელთ არ გვაქვს მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ მიმდინარე პანდემია როგორ ზემოქმედებს საზიანო პრაქტიკებზე მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ, ზოგი რამ ცხადია: პირველ რიგში, შეჩერებულია იმ პროგრამების გახორციელება, რომლებიც ემსახურება ბავშვთა ქორწინებისა და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკის აღმოფხვრას; გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო დაუცველს ხდის გოგონებს სხვადასხვა საფრთხეების მიმართ, მათ შორის ზრდის მათი საზიანო პრაქტიკის მსხვერპლად ქცევის ალბათობას.

გაეროს მოსახლეობის ფონდში (UNFPA) იწყო შემოსვლა ანგარიშებმა, რომლებიც ადასტურებს ზოგიერთ საზოგადოებებში ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებისა და ბავშვთა ქორწინების შემთხვევათა ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ანგარიშები არაოფიციალურია, ისინი მნიშვნელოვანია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), „Avenir Health“- ის, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) და ვიქტორიას უნივერსიტეტის (ავსტრალია) მიერ 2020 წლის აპრილში ჩატარებული კვლევისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მოცემულ ორივე საზიანო პრაქტიკაზე პანდემიის გამო შექმნილი ვითარების სავარაუდო ზემოქმედების შეფასებას.

იმ შემთხვევაში, თუ პანდემია გამოიწვევს ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრევენციის პროგრამების გახორციელების ორწლიან შეფერხებას, მკვლევარების ვარაუდით, მომდევნო ათწლეულში შესაძლებელია დაფიქსირდეს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების დამატებით 2 მილიონი შემთხვევა, რომელთა პრევენციაც გარანტირებული იქნებოდა პროგრამების დროულად გახორციელების პირობებში.

იმ შემთხვევაში, თუ პანდემია გამოიწვევს ბავშვთა ქორწინების პრევენციის პროგრამების გახორციელების ერთწლიან შეფერხებას, მკვლევარების ვარაუდით, მომდევნო ათწლეულში შესაძლებელია დაფიქსირდეს ბავშვთა ქორწინების დამატებით 7,4 მილიონი შემთხვევა, რომელთა პრევენციაც გარანტირებული იქნებოდა პროგრამების დროულად გახორციელების პირობებში. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური დაღმასვლის შედეგად, სავარაუდოდ, 2020 წლიდან 2030 წლამდე პერიოდში, ბავშვთა ქორწინების დამატებით 5,6 მილიონ შემთხვევას ექნება ადგილი. საერთო ჯამში, COVID-19-ის პანდემიის შედეგად, მსოფლიოში დაახლოებით 13 მილიონით გაიზრდება ბავშვთა ქორწინების შემთხვევების რაოდენობა.

UNFPA

ყველა უნდა სარგებლობდეს უფლებებითა და არჩევანის თავისუფლებით

#AGAINSTMYWILL | WWW.UNFPA.ORG/SWOP